სამართლებრივი დასკვნა დადგენილების პროექტის თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება შინაური ცხოველების ყოლის წესების (მათ შორის, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობისა და ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების) დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მართვის (მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაციის/კასტრაციის, მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების) უზრუნველყოფა.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი კანონთან შესაბამისობა.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი: **ბექა შენგელია**